საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

**MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA**

1324-01-2-202003251251

N 01/1324
25/03/2020

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

როგორც თქვენთვის უკვე ცნობილია, მიმდინარეობს ქალაქ ზუგდიდისა და დაბა სურამის ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავება. ორივე შემთხვევაში საპროექტო ჯგუფებს დაწყებული აქვთ მე-3 ეტაპის სამუშაოები. პარალელურად, თქვენთან გადმოგზავნილია სკრინინგის და სკოპინგის განცხადებები და შესაბამისი დოკუმენტაცია სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგის და სკოპინგის პროცედურების გასავლელად. აღნიშნულთან დაკავშირებით, გვსურს დავაზუსტოთ ინფორმაცია ამავე სამუშაოს ფარგლებში შესამუშავებელი ორივე დასახლების ცენტრალური ნაწილის განაშენიანების დეტალური გეგმების შესახებ.

ვინაიდან, იერარქიის მიხედვით განაშენიანების გეგმა წარმოადგენს გენგეგმის ქვემდგომ დასამუშავებელ უფრო დეტალურ დოკუმენტს და ამ უკანასკნელით ხდება ტერიტორიის შიდა განვითარება არსებული რეზერვების ათვისებით, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს 43-ე მუხლის მე-2 ნაწილის და მე-2 მუხლის „რ“ ქვეპუნქტის თანახმად, შესაძლებელია მისი დამტკიცება შემოიფარგლებოდეს მხოლოდ პროექტის დამტკიცებით და არ საჭიროებს ცალკე კონცეფციის შემუშავებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. ზუგდიდისა და დაბა სურამის ცენტრალური ნაწილების განაშენიანების გეგმების დამტკიცებისთვის, არ არის საჭირო პირველი ეტაპის (კონცეფციის დამტკიცება) გავლა და მტკიცდება მხოლოდ განაშენიანების გეგმის პროექტები.საპროექტო ჯგუფების მიერ წარმოდგენილი, ქ. ზუგდიდისა და დაბა სურამის ცენტრალური ნაწილების განაშენიანების გეგმების წინასაპროექტო-მოსამზადებელი კვლევების შესაბამისად, ცენტრალური ნაწილების განვითარება ხდება გენგეგმების კონცეფციების მიხედვით, მათთვის გამოყოფილი გეგმარებითი ერთეულების საორიენტაციო საზღვარის ფარგლების უცვლელად, არსებული რეზერვების ათვისებით. აღნიშნული ასახულია სკოპინგის განცხადებებში.

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722
12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722

გამომდინარე ზემოთქმულიდან გთხოვთ, შეწყვიტოთ ქალაქ ზუგდიდის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმისა და დაბა სურამის ცენტრალური უბნის განაშენიანების გეგმის სკრინინგის განცხადებებზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებები სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით.

ნინო გვენცაძე

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

დეპარტამენტის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)

სივრცითი დაგეგმარების დეპარტამენტი